

ფინანსების საფუძვლები I, II კურსი
(ბიზნესტექნოლოგიები, ეკონომიკა, აგრარული)(მერაბ ვანიშვილი)
I,II სემესტრი 2017-2018 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

ტერმინი ფული ნიშნავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. საერთოდ სიმდიდრეს;
- b. მხოლოდ შენობას;
- c. მხოლოდ ფასიანი ქაღალდებს;
- d. მხოლოდ ოქროს მონეტას.

კითხვა 2

საფინანსო სისტემა არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფოს ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა;
- b. საწარმოების ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა;
- c. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფინანსური საქმიანობის განმხორციელებელი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ერთობლიობა;
- d. სახელმწიფოსა და საწარმოების ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა.

კითხვა 3

ფინანსური პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა;
- b. სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა;
- c. საწარმოს შიდა ფინანსური ურთიერთობების სისტემა;
- d. სახელმწიფოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის წესი და რეგლამენტი.

კითხვა 4

ქვემოჩამოთვლილთაგან ფინანსების მართვა არ მოიცავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას და მიღებას;
- b. სახელმწიფოს მიერ საერთო ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრას და გატარებას;
- c. ფინანსურ დაგეგმვას და პროგნოზირებას;
- d. საწარმოს ძირითადი საწარმოო ფონდების ფულად შეფასებასა და ინვენტარიზაციას.

კითხვა 5

ეკონომიკური თვალსაზრისით, გადასახადი, უწინარეს ყოვლისა, არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფიზიკური და იურიდიული პირების სავალდებულო გადასახდელი;
- b. სუბიექტის შემოსავლის ნაწილი, რომელიც გადაეცემა სახელმწიფოს განსაკარგავად;
- c. საზოგადოების საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის კუთვნილება და შემოსავლების წყარო;
- d. ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი შენატანი ბიუჯეტში ან სპეციალურ სახელმწიფო ფონდში კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

კითხვა 6

ფინანსური კონტროლის ძირითად ამოცანებს არ მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფო რესურსების მობილიზაციის სისრულისა და თავისდროულობის დადგენა;
- b. აღრიცხვა-ანგარიშგების კანონების დაცვის შემოწმება;
- c. სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის რეალიზაცია;
- d. საფინანსო სისტემის ყველა რგოლში მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების კანონიერების შემოწმება.

კითხვა 7

ფედერალური სახელმწიფოებრივი მოწყობის პირობებში სახელმწიფო მართვა ხორციელდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ორ მმართველობით დონეზე;
- b. სამ მმართველობით დონეზე;
- c. ოთხ მმართველობით დონეზე;
- d. ხუთ მმართველობით დონეზე.

კითხვა 8

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს იურიდიული და ფიზიკური პირების სესხებისა თუ სხვა ვალდებულებების დაფარვის პასუხისმგებლობას, იგი გვევლინება:

აირჩიეთ ერთი:

- a. მსესხებლის რანგში;
- b. გარანტის რანგში;

- c. კრედიტორის რანგში;
- d. მსესხებლისა და კრედიტორის რანგში.

კითხვა 9

სახელმწიფო სპეციალური ფონდები არის მოსახლეობის კონკრეტული სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ:

აირჩიეთ ერთი:

- a. ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) წარმოების მეთოდი;
- b. ეროვნული ეკონომიკის ზრდის სტიმულირების მეთოდი;
- c. ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილების მეთოდი;
- d. ეროვნული სიმდიდრის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის მეთოდი.

კითხვა 10

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა:

აირჩიეთ ერთი:

- a. მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, მოგების მიზნით;
- b. მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, ქონების მიღების მიზნით;
- c. მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, გადასახადების გადახდის მიზნით;
- d. მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით.

კითხვა 11

ფულადი გადანაწილებითი ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლების, გაწეული მომსახურების საფუძველზე დანაზოგების ფორმირება-გამოყენებასთან და აშუალებენ ფულადი სახსრების მოძრაობის პროცესს ეროვნულ მეურნეობაში, არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საკრედიტო ორგანიზაციათა ფინანსები;
- b. სააქციო საინვესტიციო ფონდების ფინანსები;
- c. არაკომერციულ ორგანიზაციათა ფინანსები;
- d. სადაზღვევო ორგანიზაციათა ფინანსები.

კითხვა 12

არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსები წარმოდგენილი არ არის ფინანსური ურთიერთობებით:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საბიუჯეტო სახსრების მიღების და მათი გამოყენების გამო;
- b. სხვა ორგანიზაციებთან და ფიზიკურ პირებთან მოსალოდნელი ხარჯების გაწვევის გამო;
- c. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან სხვადასხვა დონის ბიუჯეტების და სპეციალური ფონდების ბიუჯეტების წინაშე ვალდებულებების შესრულების გამო გადასახადების გადახდის, და ასევე სავალდებულო საპენსიო და სოციალურ დაზღვევაზე სადაზღვევო შენატანების გზით;
- d. თავიანთ თანამშრომლებთან შრომის ანაზღაურების ფონდების და მიზნობრივი დანიშნულების ფონდების (მატერიალური წახალისების, საწარმოო და სოციალური განვითარების და სხვა) ფორმირებისა და გამოყენების გამო.

კითხვა 13

საოჯახო მეურნეობის (შინამეურნეობის) წარმომქმნელ ნიშნებს არ მიეკუთვნება მისი წევრების:

აირჩიეთ ერთი:

- a. ბიუჯეტის ერთიანობა (სრული ან ნაწილობრივი);
- b. მუდმივი ერთად ცხოვრება;
- c. საერთო ოჯახური წარმომავლობა;
- d. მუდმივი ერთად კვება.

კითხვა 14

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოყენებულ ფულს ეწოდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. სავალუტო კურსი;
- b. ფულადი საქონელი;
- c. ვალუტა;
- d. ოქროს სერტიფიკატი.

კითხვა 15

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ძირითად მიზნებსა და ამოცანებში არ შედის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- b. სახელმწიფოთაშორისი სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო რეგულირება;
- c. ვალუტათა სტაბილიზების უზრუნველყოფა;
- d. საერთო მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება.